ლაშა ჭანტურიძე

ნორვიჩის უნივერსიტეტი, აშშ

რუსეთისა და შეერთებული შტატების სამხედრო ძალათა შედარება და სხვა მცირე საკითხები

2017 წლის ნოემბერ–დეკემბერში, ორგანიზაცია CRRC საქართველომ, NDI-ს დაკვეთით, საქართველოში მოაწყო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა თემაზე „საზოგადოების განწყობა საქართველოში," ავტორები: ლორა თორნტონი და კობა თურმანიძე. კვლევის სხვა კითხვათა შორის იყო შემდეგი: „თქვენი აზრით, რომელი ქვეყანა უფრო ძლიერია სამხედრო ძალის თვალსაზრისით, რუსეთი თუ აშშ?" (q10). გამოკითხულებმა შეარჩიეს ოთხი შესაძლებელი პასუხიდან ერთი: „რუსეთი" (41%), „აშშ" (36%), „თანაბარი სიძლიერის არიან" (15%), „არ ვიცი" (8%). ეს კომენტარი ეძღვნება ამ კითხვასა და ზოგადად შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებულ საკითხებს.

კითხვას, თუ რომელი ქვეყანა უფრო ძლიერია სამხედრო ძალის თვალსაზრისით, რუსეთი თუ შეერთებული შტატები, ერთგვაროვანი პასუხი ვერ გაეცემა, რადგან იგი ძალზედ ზოგადია და მოიცავს რამდენიმე განსხვავებულ სფეროსა და კონტექსტს. შესაბამისად, პასუხი შეიძლება იყოს სხვადასხვა, იმისდა მიხედვით, თუ რომელ სფეროსა თუ კონტექსტს გავითვალისწინებთ.

სამხედრო ძალის მშენებლობისა და განვითარების მხრივ, რუსეთი და შეერთებული შტატები მოქმედებენ ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ, მაგრამ ერთმანეთისგან ძალზედ განსხვავებულ სფეროში: ერთი არის კონვენციური შეიარაღებული ძალა, მეორე კი სტრატეგიული. კონვენციური შეიარაღება მოიცავს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალებს, რომლებიც აღჭურვილნი არიან ტრადიციული იარაღითა და ასაფეთქებელი მოწყობილობით. ასეთი ძალის ნაირსახეობა შეიძლება მოიძებნოს მსოფლიოს სახელმწიფოთა უმეტესობაში. კონვენციურისგან განსხვავებით, სტრატეგიული შე-

იარაღება მოიცავს ატომურ იარაღს და მისი ეფექტური გამოყენებისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას: ბალისტიკურ რაკეტებსა და მათი გამართული მუშაობისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას, ფრთოსან რაკეტებს, შემტევ ატომურ წყალქვეშა ნავებს, ხანგრძლივი ფრენის ატომურ ბომბდამშენებს, სადაზვერვო და წინასწარი გაფრთხილების კოსმოსურ თანამგზავრებსა და სახმელეთო და საზღვაო რადარებს. ატომური იარაღის სტრატეგია ძირეულად განსხვავდება კონვენციური სამხედრო სტრატეგიისგან და მოქმედებს სხვა ლოგიკით. რაც შეეხება სამხედრო შეიარაღების გამოყენების კონტექსტს, აქ ძირითადი განსხვავება დასმულ კითხვაში არის ის, თუ ვის წინააღმდეგ იგულისხმება ძალის გამოყენება: რუსეთი და აშშ ერთმანეთის წინააღმდეგ თუ რუსეთი ან აშშ რომელიმე სხვა ქვეყნის წინააღმდეგ. შემდგომ, სამხედრო ძალის გამოყენების მხრივ განსხვავება არის გასაკეთებელი თუ ეს ძალა გამოიყენება მსოფლიო თუ რეგიონულ კონტექსტში, მეზობელი თუ სხვა უფრო შორეული სახელმწიფოს წინააღმდეგ, სხვა ქვეყნებთან ერთად ალიანსში თუ უნილატერულად (ერთპიროვნულად).

კონვენციური შეიარაღება

კონვენციური შეიარაღების სფეროში, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ შეერთებული შტატები რუსეთზე წინ არის ყველა მაჩვენებელით: აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში მსახურობს უფრო მეტი პროფესიონალი ჯარისკაცი, მათ აქვთ უფრო ბევრი თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, ძალის გამოყენებისთვის უკეთესად განვითარებული სისტემური მიდგომა, უკეთესი და უფრო ეფექტური მომარაგების სტრუქტურა (ლოგისტიკა). რომ შეიძლებოდეს წარმოდგენა რუსეთსა და ამერიკას შორის ომი მხოლოდ კონვენციური იარაღის გამოყენებით, უპირატესობა ექნება შეერთებულ შტატებს და გამარჯვებასაც მოიპოვებს, მაგრამ ძალიან დიდ ფასად: მსხვერპლი ორივე მხარისთვის იქნება ძალიან დიდი და დამარცხების შემთხვევაშიც კი რუსეთი მოახერხებს შეერთებული შტატების

ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვნად დაზიანებას. ამიტომაც, მოსკოვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სტრატეგიული შეიარაღების განვითარებასა და განახლებას. რუსეთისთვის მშიერ 1990–იან წლებშიც კი, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე მნიშვნელოვნად შემცირდა, არ შენელებულა სტრატეგიული შეიარაღების ახალი სისტემების მშენებლობა და განვითარება.

სტრატეგიული შეიარაღება

ატომურ–სარაკეტო შეიარაღების მხრივ, შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის არსებობს პარიტეტი, ძალთა თანაფარდობა. მიუხედავად სხვადასხვა პროპაგანდისტული კამპანიისა, ეს პარიტეტი არ დარღვეულა 1960–იანი წლების შემდეგ. ეს ასეც უნდა იყოს: რუსეთსა და ამერიკას შორის ატომური ომი გამარჯვებას არავის მოუტანს, დამარცხებული კი იქნება მთელი კაცობრიობა. თითოეულ ქვეყანას დამოუკიდებლად შეუძლია მთელი მსოფლიო ეკონომიკის სრულიად დანგრევა, კაცობრიობის 90%–ზე მეტის განადგურება და მსოფლიო ცივილიზაციის დაბრუნება შუა საუკუნეების დონეზე. სტრატეგიული შეიარაღების სფეროში ორ ქვეყანას გამართული აქვს უწყვეტი დიალოგი, რომლის მიხედვითაც ხდება არსებული შეიარაღებათა პერიოდული კონტროლი, ინფორმაციის გაცვლა და შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულებათა გადახედვა, გაუქმება ან განახლება. სხვა ქვეყნებთან სამხედრო კონფლიქტის დროს, როგორც წესი, ხდება იმ იარაღის დემონსტრირება, რომელთაც შეუძლიათ ატომური ბომბის ტარება. ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ფრთოსანი რაკეტების დემონსტრირება სირიის ომში, ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ შეერთებული შტატების მიერ. ასეთი ნაბიჯები არწმუნებს ორივე ქვეყანას ძალთა პარიტეტის არსებობაში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ატომური ომის წამოწყების ცდუნებას, როგორც მოსკოვში, ასევე ვაშინგტონში.

შეიარაღებული ძალის გამოყენების კონტექსტი

პრაქტიკულად შეუძლებელია არსებობდეს რეალური სცენარი, რომლის მიხედვითაც რუსეთმა და შეერთებულმა შტატებმა ერთმანეთის წინააღმდეგ შეიძლება აწარმოონ კონვენციური ომი, მათ შორის მასშტაბიანი კონფლიქტი მალევე გადაიზრდება ატომურ ომში. შეზღუდული ატომური ომის პირობებშიც კი, მსხვერპლი ორივე ქვეყანაში გადააჭარბებს ათეულობით მილიონ ადამიანს. ასეთ კონტექსტში, კითხვის დასმა, თუ რომელი ქვეყნის შეიარაღებული ძალა უფრო ძლიერია ერთმანეთთან ომის შემთხვევაში, ისეთივე ჭკვიანურია, როგორც კითხვა, თუ რომელი გაიმარჯვებს ვერტმფრენისა და თვითმფრინავის ერთმანეთთან დაჯახების შემთხვევაში.

მეორე მხრივ, რუსეთისა და შეერთებული შტატების სამხედრო ძალათა შედარება შეიძლება გულისხმობდეს სხვა ქვეყნების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას. ამ კონტექსტში განსხვავება არის გასაკეთებელი თუ ეს ქვეყანა არის რუსეთის ან ამერიკის მეზობელი, თუ მოთავსებულია მსოფლიოს შორეულ კუთხეში. მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების მხრივ, უპირატესობა აქვს რუსეთის ფედერაციას - საქართველოსა და უკრაინის უახლესი გამოცდილებაც ამის დამადასტურებელია. რუსეთს, ისტორიულად, შეიარაღებული ძალები შექმნილი და განვითარებული აქვს სწორედ მეზობელ ქვეყნებთან საომრად. სამხედრო ძალის შორს გადასროლის პრაქტიკა მოსკოვმა მხოლოდ 1960–იან წლებში დაიწყო, რომლის პირველმა ცდამ მსოფლიო მასშტაბის სკანდალი გამოიწვია - 1962 წლის კუბის სარაკეტო კრიზისი. მეორე მხრივ, შეერთებულ შტატებს მეზობელი ქვეყნების წინააღმდეგ სამხედრო ძალა არ გამოუყენებია მე–19 საუკუნის შემდეგ და არც აქვს ამისი გეგმა ან სურვილი. სამაგიეროდ, შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალებს უპირატესობა აქვთ ექსპედიციური ომის წარმოების მხრივ - ვაშინგტონს შეუძლია დედამიწის ნებისმიერ კუთხეში აწარმოოს

ომი მრავალი წლის განმავლობაში - მიმდინარე ომები ახლო აღმოსავლეთსა და ავღანეთშიც ამაზე მეტყველებს.

ომი გლობალურ და რეგიონულ კონტექსტში

გლობალური მასშტაბით ომის წარმოება, როგორც რუსეთის ასევე შეერთებული შტატების მხრივ, ძალზედ ჰიპოთეტური საკითხია, მაგრამ თუ უახლეს ისტორიულ გამოცდილებას გავითვალისწინებთ, აქ შეერთებულ შტატებს ექნება უპირატესობა. ე.ი. აშშ–მ რომ ომი აწარმოოს დანარჩენი მსოფლიოს შეიარაღებულ ძალებთან, რუსეთისა და საკუთარი მოკავშირეების მონაწილეობის გარეშე — შეერთებულ შტატებს უფრო მეტი გამოცდილება აქვს შორეულ ქვეყნებთან ომისა, ერთბაშად ერთზე მეტი ომის წარმოების და ომის გრძელი ვადით შენარჩუნებისა, რამეთუ ეკონომიკურად არის ძალიან ძლიერი. მეორე მხრივ, რუსეთს აქვს უპირატესობა მეზობელ ქვეყნებთან წარმატებული ხანმოკლე ომის წარმოებისა. მაგრამ, ვინაიდან რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ყველაზე სუსტი ადგილი არის ლოგისტიკა და ქვეყანაც არ არის ძალიან მდიდარი, მრავალწლიანი რეგიონული ომის წარმატებით წაყვანა მოსკოვს, როგორც წესი, უჭირს. ამის ყველაზე კარგი მაგალითია 1980–იანი წლების ავღანეთის კამპანია.

თუმცა ამას კითხვარში მოყვანილ საკითხთან პირდაპირი კავშირი არა აქვს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის გასათვალისწინებელი, რათა უკეთესი ზოგადი სურათი გვქონდეს შეერთებული შტატებისა და რუსეთის შეირაღებული ძალების თავისებურებათა შესახებ. აშშ ყველაზე წარმატებული ქვეყანაა მსოფლიოს ისტორიაში სამხედრო ალიანსების შექმნისა და შენარჩუნების მხრივ. ეს ეხება როგორც მულტილატერულ ანუ მრავალმხრივ ალიანსებს (მაგალითად, ნატო), ასევე ორმხრივს (მაგალითად, ნორადი, აშშ–იაპონიის ალიანსი და მისთანა). მეორე მხრივ, რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელსაც საკუთარი თავის დასაცავად ალიანსის შექმნა ან მასში გაწევრიანება არ სჭირდება. რუსეთი

აგრეთვე ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით არის სავსებით თვითკმაყოფადი: მას არ სჭირდება არაფრის შეძენა უცხოეთში საკუთარი სამხედრო ძალების გამართულად მოქმედების უზრუნველყოფისთვის.

ბოლოსიტყვა

ერთი ქართული კინოს გმირის ახირებული პასუხი თუ იქნება ალბათ ყველაზე უპრიანი აქ ზემოთ განხილულ კითხვაზე გასაცემად: გააჩნია რა შემთხვევაში. თუ რომელი ქვეყნის სამხედრო ძალაა უფრო ძლიერი, რუსეთისა თუ ამერიკის, პასუხი დამოკიდებულია შეიარაღების გამოყენების სფეროსა და კონტექსტზე. ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ კვლევის ავტორებს შეგნებულად უნდოდათ ბუნდოვნების შეტანა კითხვარში, ანდა მომხმარებლის დაბნევა - ასეთი რამ არც მათ არგებთ და არს მაგათ საქმეს. ახსნა კითხვარში ამ ზოგადი კითხვის არსებობისა არის ალბათ ის, რომ ავტორებს ნაკლებად ესმით სამხედრო–სტრატეგიული საქმე და ვერ ჩამოაყალიბეს უფრო კონკრეტული კითხვა ან ვერ მიხვდნენ ამის აუცილებლობას. ასეთი კითხვარების ავტორნი, როგორც წესი, არიან დასავლეთის ქვეყნებში განათლება მიღებული ახალგაზრდები, რომლებსაც კარგად ესმით საზოგადოებრივი გამოკითხვისა და ზოგადად სოციალური მეცნიერების საკითხები. სამწუხაროდ, მათ მეტად მწირი განათლება აქვთ სამხედრო–სტრატეგიულ საკითხებში უბრალო მიზეზის გამო: დასავლეთის უმაღლეს სასწავლებლებში ამას ძალიან მცირე დრო და ადგილი ეთმობა.

ზოგადად, მსგავსი კითხვარების შედგენაში შეუძლებელიც უნდა იყოს გარკვეულ მიკერძოებათა გამორიცხვა, რაც განპირობებულია ავტორთა განათლებით, წარმომავლობით თუ მათი ძირითადი სამოქმედო ენით; ამდენად ასეთი კვლევის მომხმარებელმა ეს უნდა გაითვალისწინოს. კიდევ ერთი მაგალითი ამისა არის ამავე კითხვარის მომდევნო საკითხი, რომელიც ჩამოყალიბებულია შემ-

დეგნაირად: „ეთანხმებით, თუ არ ეთანხმებით, რომ საქართველოში არსებობს...“ [შემდეგი შესაძლებელი პასუხი]: „რუსული პროპაგანდა,“ „ევროკავშირიდან მომავალი პროპაგანდა“ და „აშშ–დან მომავალი პროპაგანდა“ (q11, q13, q15). ეს კითხვაც ძალზედ ზოგადია, რამეთუ არსებობს განსხვავება პროპაგანდის სფეროებს შორის: თეთრი პროპაგანდა (რაც წარმოადგენს რაიმე პოლიტიკური ერთეულის დადებითი მხარეების დაგეგმილად და ღიად გაშუქებას, გამორიცხავს ტყუილს), შავი პროპაგანდა (რაც გულისხმობს ინფორმაციის მომხმარებლის შეგნებულად შეცდომაში შეყვანას, ძირითადად დაფუძნებულია ტყუილებზე), და ნაცრისფერი პროპაგანდა (რომლის წარმომავლობა უცნობია და მოყვანილი ინფორმაცია საეჭვო — ასეთებით დღეს სავსეა ინტერნეტი). ზემოთ ნახსენებ “პროპაგანდის” კითხვაში მოპასუხეს (და მომხმარებელს) არა აქვს საშუალება განასხვავოს, რომ მაგალითად, ევროკავშირის პროპაგანდა შეიძლება იყოს ძირითადად თეთრი, ხოლო რუსული - ძირითადად შავი: ორივე პროპაგანდაა, მაგრამ მათ შორის არის დიამეტრული განსხვავება.

Lasha Tchantouridzé

Russian and American Armed Forces: A Comparison with Questions

Summary

In November-December 2017, the CRRC Georgia, in cooperation with the National Democratic Institute (NDI) conducted a public opinion poll in the Republic of Georgia. Among the questions was one asking the respondents to compare military strength of Russia with that of the United States. Forty-one percent of the respondents identified Russia as stronger than the US, 36% thought that the US forces were stronger, 15% assessed them at equal strength, and 8% responded with "do not know." The answer distribution appears to be

baffling, but in fact, all of them are correct. When it comes to the strategic arms, the United States and the Russian Federation are maintaining parity, as this is the most desirable state of affairs when it comes to nuclear weapons. The United States has more experience and success when it comes to expeditionary warfare, while the Russian Federation has enjoyed more success in wars with its neighboring states. Given such a mixed recent record, "do not know" and "it depends" answers would also be correct. This was not the only question without limited boundaries in the CRRC questionnaire: the set of questions on the foreign propaganda (q11, q13 and q15) were similarly open-ended.